ნარკოტიკების მოხმარების სიტუაციური ანალიზი ევროპულ და საერთაშორისო დონეზე - მისი ზეგავლენა თანამედროვე მსოფლიო წესრიგზე

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.25

ჯემალ ჯანაშია

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

სისხლის სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

j.janashia@gtu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0004-4271-5555

აბსტრაქტი

სტატიაში ვანვითარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ნარკომანის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისას არ არის სასურველი არც ლიბერალიზაციისაკენ და არც რეპრესიებისაკენ ზედმეტი გადახრა. საჭიროა დაბალანსებული, ყოველი ქვეყნის თუ რეგიონისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან და ეკონომიკური, სოციალური განვითარების იმ ეტაპისათვის საჭირო ორგანიზაციულ, სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც გაითვალისწინებს ამ რეგიონების, თუ ქვეყნების ისტორიულ, კულტურულ, პოლიტიკურ თუ გამოწვევებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ არასასურველ შედეგებს, რომლის მაგალითები მრალადაა ნარკოტიკების მოხმარების მსოფლიო ისტორიაში.

საჭიროა მუდმივად სწრაფვა რათა სახელმწიფოებმა გამონახონ საერთო მიდგომის გზები ნარკოტიკების მოხმარების საწინააღმდეგო სტრატეგიებში, იყვნენ უკომპრომისო მისი უკანონო წარმოების და გავრცელების საკითხებში. ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს ურთიერთ თანხმობის და კომპრომისების საფუძველზე.

ნარკოტიკების უკანონო წარმოებისა და ბრუნვის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია შესაბამისი პოლიტიკის და პროგრამების განხორციელება, მიმართული საზოგადოებასა და ცალკეულ პირებზე, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისკენ, ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისკენ, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სფეროში სიტუაციის გაუმჯობესებისკენ და სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებისკენ.

ნარკოტიკების უკანონოდ გამოყენება არ შემოიფარგლება რომელიმე ერთი ქუჩით, ქალაქით, ქვეყნით - ის მოიცავს მსოფლიოს უმეტეს სივრცეებს. ნარკომანიის პრობლემების გადასაჭრელად, მხოლოდ ეროვნულ დონეზე ზომების მიღება საკმარისი არ არის. ეს ბრძოლა საერთაშორისო ტრანსნაციონალური გამოწვევაა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა არის საერთაშორისო კონტროლის სისტემის ბირთვი, გლობალურ დონეზე მისი ეფექტურობა სიღრმისეულად არ შეფასებულა. აუცელებელია დროთა განმავლობაში განვითარდეს უფრო სრულყოფილი ინსტრუმენტები საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრესის მიკვლევისთვის, რაც წინაპირობაა, დადებითი ტენდენციების და შესაძლო დაბრკოლებების უკეთესად შესაფასებლად.

საკვანძო სიტყვები: ნარკოტიკი, მსოფლიო წესრიგი, საერთაშორისო თანამშრომლობა, სიტუაციური ანალიზი, ევროპა.

Narcotics at the European and International Levels: Situational analysis of Drug Use and its Impact on the Modern World Order

Jemal Janashia

Doctor of Law

Head of the Criminal Justice Department

j.janashia@gtu.ge

ORCID iD: https://orcid.org/0009-0004-4271-5555

Abstract

The article states the fact that while implementing measures against drug addiction, it is not desirable to deviate too much either towards liberalization or repression. It does not require balanced, organizational, legal decisions based on the specific features of each country or region and the stage of economic and social development necessary for that region or country, which will consider the historical, cultural, political, and other realities of these regions or countries. Otherwise, we will get undesirable results, examples of which are numerous in the world's history of drugs.

The paper highlights that it is necessary to strive constantly for the states to find a common approach in the strategy against drug use, to be uncompromising in the issues of its illegal production and distribution, and everything should be implemented based on mutual consent and compromises. In our opinion, in order to prevent the illegal production and circulation of drugs, it is appropriate to implement appropriate policies and programs aimed at society and individuals, as well as improving public health, stimulating economic development, improving the situation in the field of public safety, and reducing socio-economic inequality.

Illegal use of drugs is not limited in any street, city, or country; it covers most spaces of the world. It is not enough to take measures at the national level to solve drug addiction problems. The fight against drug addiction is an international and transnational challenge.

Although international cooperation is at the core of the international control system, its effectiveness at the global level has not been adequately evaluated. This makes us think that it is necessary to change in the meantime, develop more complete tools for tracking the progress of international cooperation, which will allow us to better assess positive trends and possible obstacles that may hurt effective cooperation.[309]

Key words: drugs, world order, international cooperation, situational analysis, Europe.

ნარკოტიკები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. 2023 წლის, ევროპის მიერ, ნარკოტიკების

შესახებ ანგარიშის ანალიზის მთავარი გზავნილი არის ის, რომ უკანონო ნარკოტიკების მოხმარების გავლენა საზოგადოების ყველა ფენაში უარყოფითად გამოიხატება. ფსიქოტროპული თვისებები, პოტენციურად, თითქმის ყველა ტიპის ნარკოტიკს გააჩნია. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ადამიანი პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება დაზარალდეს ნარკოტიკების უკანონო მოხმარებით და მასთან დაკავშირებული პრობლემებით[310].

დღეს ნარკომანიის პრობლემა თითქმის ყველგანა არის. მათი გამოვლენა ამძაფრებს სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს, როგორიცაა უსახლკარობა, ფსიქიატრიული აშლილობების მართვა, კრიმინალი ახალგაზრდებში,

[309] United Nations Office on Drugs and Crime (UNODC). From the 2023 report.
Source: https://wdr.unodc.org/wdr2020/field/WDR20_BOOKLET_1.pdf

310 European Drug Report 2023: Trends and Developments. წყარო: https://www.emcdda. Europa. eu/publications/European-Drug-report/2023_en.

ძალადობის და კორუფციის უფრო მაღალი დონე, რომელიც გამოწვეულია ნარკობაზრების გეოგრაფიის გაფართოებით მსოფლიოს ქვეყნებში.

საერთაშორისო დონეზე, ნარკომანიის პრობლემები იზრდება ბევრ დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყანაში, რაც ძირს უთხრის მმართველობასა და განვითარებას. ფეხს იკიდებს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებში - კორუფციის სახით, აზიანებს საზოგადოების ჯანმრთელობას, საფრთხეს უქმნის თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესებს.

თანამედროვე ნარკოტიკების ბაზარზე მზარდ პრობლემას წარმოადგენს ფსიქოაქტიური თვისებების მქონე მედიკამენტების უკანონო ცირკულაცია, რომლებიც ხშირად ვრცელდება არასწორი ეტიკეტირებით ან სხვა ნივთიერებებთან ნარევების სახით. ეს მოვლენა მნიშვნელოვნად ზრდის მომხმარებელთა ჯანმრთელობის რისკებს, რადგან მათ არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია მოხმარებული ნივთიერების შემადგენლობის, დოზირებისა და პოტენციური გვერდითი ეფექტების შესახებ, რაც ხშირად იწვევს მძიმე ინტოქსიკაციებსა და ლეტალურ შედეგებსაც კი. ამასთანავე, ფსიქოაქტიური მედიკამენტების უკონტროლო გავრცელება და მუტაცია ქმნის ახალ სამართალდამცავ და მარეგულირებელ გამოწვევებს, ვინაიდან ტრადიციული მეთოდები არაეფექტურია ისეთი ნივთიერებების იდენტიფიცირებისა და კონტროლისთვის, რომლებიც მუდმივად იცვლიან ქიმიურ სტრუქტურას ან ნიღბავენ თავიანთ ბუნებას.

განვითარებული მოვლენების გავლენა, ნიშნავს, რომ ადამიანები გარკვეულწილად დაზარალდებიან ნარკოტიკების უკანონო მოხმარებით, ნარკოტიკების ბაზრის ფუნქციონირებითა და მასთან დაკავშირებული სირთულეებით, მათ ვისაც უვითარდება პრობლემები და სჭირდება მკურნალობა ან სხვა მომსახურება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტები თავის ანგარიშში ანვითარებენ მოსაზრებას, რომ „ყოველივეს ირიბად, ჩვენ ამას ვხედავთ დაუცველი ახალგაზრდე ბის კრიმინალურ ორგანიზაციებში დაქირავებაში, ჯანდაცვის ბიუჯეტზე ზეწოლაში და სოციალურ ხარჯებში იმ სოციალური ჯგუფებისათვის, რომლებიც თავს დაუცველად გრძნობენ, ან სადაც დანაშაულებრივი ბიზნესი ანვითარებს კორუფციას ან კრიმინალურ პრაქტიკას“[311].

ნარკოტიკების მაღალ ხელმისაწვდომობას თან ახლავს არალეგალური ნარკოტიკე ბის ბაზარზე არსებული ნივთიერებების უფრო დიდი მრავალფეროვნება,

[311] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2023 წლის ანგარიშიდან.

რის შედეგადაც მომხმარებლები ექვემდებარება ფსიქოაქტიური ნივთიერებების უფრო ფართო სპექტრის ზემოქმედებას. მათ შორისაა ახალი სინთეზური ნარკოტიკები. ადამიანები, რომლებიც გაუცნობიერებლად, იყენებენ უფრო მაღალი სიმძლავრის, სრულიად ახალ ნივთიერებებს, ან ამ ნივთიერებების ნარევებს მოიხმარენ, ჯანმრთელობისათვის მაღალი დონის ზიანის მიყენების საფრთხის ქვეშ არიან, მათ შორის, მოწამვლისა და სიკვდილის.

სტიმულატორების და განსაკუთრებით კოკაინის, ფენტალინის, **კორფენტა ნილის** (სინთეზური ოპიოიდური ნარკოტიკი, რომელიც **80-ჯერ** უფრო ძლიერია ვიდრე ჰეროინი). ნარკოტიკების ზედოზირებით გარდაცვალების მზარდმა ტენდენციებმა განაპირობა ევროპისა და სხვა სახელმწიფოების ურთიერთთანამშრომლობის გააქტიურების აუცილებლობა. კერძოდ, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა საქართველო, სომხეთი, ლიბანი, პალესტინა, მოლდოვა და უკრაინა, საჭიროებენ ტექნიკურ დახმარებას ევროპისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციების მხრიდან. ეს ინიციატივა, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მიზნად ისახავს ზედოზირების შემთხვევების შემცირებას. ყოველივე ეს, გლობალურ დონეზე, ნარკოტიკებთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლებას გულისხმობს[312].

სტატიის ავტორის მოსაზრებით, თუ გავითვალისწინებთ, ევროპის ქვეყნე ბის მონაცემებს, სადაც ზიანის შემცირების სერვისების დონე გაცილებით მაღალია, წლის განმალობაში რისკ ჯგუფის ნარკომანთა 2% ნარკოტიკების უარყოფითი (მავ ნე) ზემოქმედებისაგან იღუპება და ეს ციფრი რამოდენიმე ათასს შეადგენს, პირდაპირი შედარებითი მეთოდით საქართველოში ზიანის შემცირების ევროპული სტან დარტების სერვისების პრაქტიკულად არქონის პირობებში 52 500-ის (ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი - რისკ ჯგუფი-ის) 2%, წელიწადში რამოდენიმე ასეულ გარდაცვალებულ პირს უნდა აჭარბებდეს, მაგრამ საქართველოში ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით მოხმარებით გამოწვეული გარდაცვალების 38 ერთეული ფაქტია დაფიქსირებული[313]. გამოსაყოფია კანაბისის მოხმარების მკვეთრი ზრდის პრობლემა საერთაშორისო მასშტაბით, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ნარკოტიკების ბაზარი ხასიათდება მიწოდების ფართო სპექტრით და იოლი ხელმისაწვდომობით, მისი „პროდუქტები“ კი ხშირად მაღალი სიმძლავრით და

312 Focus on the European Neighbourhood Policy area: news from EU 4Monitoring Drugs, the EMCDDA's new technical cooperation project.

313 ზაზა ბერიზაშვილი, ჯემალ ჯანაშია. „საქართველოში ავღანური ჰეროინის ბრუნვის სიტუაციური ანალიზი. საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „თემიდა“. № 14, 2021წ.

სისუფთავით გამოირჩევა. ევროპა ასევე რჩება ზოგიერთი ნივთიერების, განსაკუთრებით, სინთეზური ნარკოტიკებისა და კანაბისის წარმოების მნიშვნელოვან „მბრუნავ ღერძად“. კანაბისზე მსჯელობისას კიდევ ერთი საკითხი იწვევს შეშფოთებას: კანაბისის არასამედიცინო მიზნით მოხმარების მასშტაბები სწრაფად იზრდება და ხდება კანაბისის არასამედიცინო მიზნით წარმოების და მოხმარების ინდუსტრიის განვითარება, სავარაუდოდ ნაკარნახევია, შემოსავლების და მოგების მიღების ზრდით და არა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვით. ეს შეშფოთება განსაკუთრებით აქტუალურია იმ ქვეყნებისთვის, სადაც კანაბისის არასამედიცინო მიზნით მოხმარება ლეგალიზებულია ან მიმდინარეობს ამ მიმართულებით კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პროცესები.

სტატიის ავტორის აზრით, ყველა ეს საკითხები აქტუალურია და შესაბამის საკანომდებლო და მეთოდოლოგიურ ცვლილებებს მოითხოვს, რადგან ქართული „ნა რკოსცენა“ უაღრესად მოწყვლადია და ასეთი მდგომარეობა უკვე ემუქრება ქვეყნის უსაფრთხოებას და მის გენოფონდს[314].

ფართოვდება კანაბისის არალეგალური პლანტაციების გავრცელების ზონები და, რაც ყველაზე სახიფათოა, ამ ფართობებზე მიმდინარეობს ხანგრძლივი სელექციის პირობებში გამოყვანილი კანაბისის ახალი ჯიშების გაშენება, კულტივაცია და საბოლოო პროდუქტის მიღება, რომელშიც ტეტრაჰიდროკანაბინოლის (THC) შემცველობა მუდმივად იზრდება და 30 პუნქტს გადააჭარბა. ხანგრძლივი სელექციის პირობებში გამოყვანილია ახალი ჰიბრიდული ჯიშები, რომელშიც ტეტრაჰიდროკანაბინოლის THC შემცველობამ 60 %-ს მიაღწია. **ამიტომ დღეს ხელმი საწვდომი კანაბისის პროდუქტები უფრო მავნეა, ვიდრე მარიხუანა, კანაბისისფისი, ათეული წლის წინ[315].**

ამის ფონზე განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ალკოჰოლის და თამბაქოს მსხვილი კომპანიების მიერ დიდი ინვესტიციების ჩადება კანაბისის ინდუსტრიაში ჩრდილოეთ ამერიკაში.

თუ შევაფასებთ მსოფლიო „ნარკოსცენას“ დავინახავთ, რომ კანაბისი ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ხშირად მოხმარებულ არალეგალურ ნარკოტიკად რჩება. ნარკოტიკების ევროპული მოხმარების ეროვნული კვლევები

[314] ჯემალ ჯანაშია - საქართველოში ნარკომანიის გავრცელების და ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შედარებითი ანალიზი. თსუ-ს 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონფერენციის სტატიების კრებული. რედაქტორები ჯ.ჯანაშია, ნ.თოდუა.

315 ჯ.ჯანაშია. „ნარკოდანაშაულის ფენომენი“, მონოგრაფია. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2020 წ.

მიუთითებს, რომ მთლიანობაში, ევროპელი ზრდასრულთა დაახლოებით 8%-ს (15-დან 64 წლამდე ასაკის 22,6 მილიონმა მოქალაქემ) სავარაუდოდ გამოიყენა კანაბისი ბოლო ერთი წლის განმავლობაში. ევროკავშირის ზრდასრულთა დაახლოებით 1,3% (3,7 მილიონი ადამიანი) არის კანაბისის ყოველდღიური ან თითქმის ყოველდღიური მომხმარებელი და ეს არის ჯგუფი, რომელიც ყველაზე მეტად განიცდის ამ ნარკოტიკთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკების მავნედ მოხმარების სტატისტიკის (NCDAS – Substance Abuse and Addiction Statistics) 2021 წლის მონაცემების მიხედვით 18 წლის ასაკამდე მარიხუანას მომხმარებელთა შორის 6-დან 1 ხდება დამოკიდებული.

საფრანგეგეთის 2019 წლის სტატისტიკური მონაცემებით (EMCDDA – Fran ce country drug report) ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემე ბის გამო სტაციონარში სამკურნალოდ მოთავსებულ პაციენტთა შორის 60% - კანაბისის, 18% - ჰეროინის, 8% -კოკაინის, 13% - სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელია.

ნარკოტიკების მოხმარების სტატისტიკური მონაცემები

რეგიონი/ქვეყანა	**წყარო/პერიოდი**	**მაჩვენებელი**	**აღწერა**
ევროპა	ევროპული მოხმარების ეროვნული კვლევები	8% (22.6 მილიონი)	15-დან 64 წლამდე ასაკის ზრდასრულთა პროცენტი, რომლებმაც კანაბისი გამოიყენეს ბოლო 1 წლის განმავლობაში.
ევროკავშირი	ევროპული მოხმარების ეროვნული კვლევები	1.3% (3.7 მილიონი)	ზრდასრულთა პროცენტი, რომლებიც არიან კანაბისის ყოველდღიური ან თითქმის ყოველდღიური მომხმარებლები.
ამერიკის შეერთებული შტატები	NCDAS – 2021 წლის მონაცემები	1-დან 6	18 წლამდე მარიხუანას მომხმარებელთა შორის

რეგიონი/ქვეყანა	წყარო/პერიოდი	მაჩვენებელი	აღწერა
			დამოკიდებულების განვითარების რისკი.
საფრანგეთი	EMCDDA – 2019 წლის სტატისტიკა	60%	ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების გამო სტაციონარში სამკურნალოდ მოთავსებულ პაციენტთა წილი, რომლებიც კანაბისის მომხმარებლები არიან.
საფრანგეთი	EMCDDA – 2019 წლის სტატისტიკა	18%	ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების გამო სტაციონარში სამკურნალოდ მოთავსებულ პაციენტთა წილი, რომლებიც ჰეროინის მომხმარებლები არიან.
საფრანგეთი	EMCDDA – 2019 წლის სტატისტიკა	8%	ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების გამო სტაციონარში სამკურნალოდ მოთავსებულ პაციენტთა წილი, რომლებიც კოკაინის მომხმარებლები არიან.
საფრანგეთი	EMCDDA – 2019 წლის სტატისტიკა	13%	ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების გამო სტაციონარში სამკურნალოდ მოთავსებულ პაციენტთა წილი, რომლებიც სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლები არიან.

ძველი ახალი სტრატეგიები

თუ გადავხედავთ ნარკოტიკების გავრცელებისა დამოხმარების ისტორიას მსოფლიოში დავინახავთ, რომ ეს სტრატეგია არ ახალია. მუდმივად ენაცვლებოდა ერთმანეთს ნარკოტიკების მოხმარების შესახებ რეპრესიული და ლიბერალური დამოკიდებულება. ცალკეულ ქვეყანაში, თუ რეგიონში მას ხოტბას ასხამდნენ, „ადამიანის მეგობრად“, ავადმყოფის განკურნების საშუალებად მოიხსენიებდნენ და ნაწარმოებებსაც კი უძღვნიდნენ, სხვა ქვეყნებში, თუ სივრცეში ის სასტიკად იდევნებოდა, ჯადოქრობად მიიჩნეოდა და მისი მოხმარება სიკვდილითაც კი ისჯებოდა. რაშია ჭეშმარიტება[316]?!

ზომიერების თვალსაზრისით, არ არის სასურველი არც ლიბერალიზაციისაკენ და არც რეპრესიებისაკენ ზედმეტი სწრაფვა. საჭიროა დაბალანსებული, ყოველი ქვეყნის თუ რეგიონისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან და ეკონომიკურ-სოციალური განვითარების იმ ეტაპისათვის საჭირო ორგანიზაციულ-სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც გაითვალისწინებს ამ რეგიონების ისტორიულ, კულტურულ, პოლიტიკურ თუ სხვა რეალიებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ არასასურველ შედეგებს, რომლის მაგალითები მრავლადაა ნარკოტიკების მსოფლიო ისტორიაში. საჭიროა მუდმივად სწრაფვა, რათა სახელმწიფოებმა იპოვონ საერთო მიდგომა ნარკოტიკების მოხმარების საწინააღმდეგო სტრატეგიებში, იყვნენ უკომპრომისო მისი უკანონო წარმოების და გავრცელების საკითხებში. ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს ურთიერთთანხმობის და კომპრომისების საფუძველზე.

მრავალწლიანი დისკუსიების, დებატებისა და საკითხებისადმი საერთო მიდგომების ჩამოალიბების შემდგომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროკავშირის და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების არასამედიცინო მიზნებით გამოყენების, ასევე მათი წარმოების, მიწოდების, გასაღებისა და სხვა სახის უკანონო მოქმედებების საწინააღმდეგო ღონისძიებები (მოქმედებები), უნდა განხორციელდეს მსოფლიო გამოცდილებაზე დაფუძნებულ ,,ოთხ საფეხურიანი ანტინარკოტიკული სტრატეგიით“.

316 ჯ.ჯანაშია. “xxi საუკუნის გამოწვევა“ გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი 2000წ.

1.სამართალდამცავი მოქმედებები, ნარკოტიკების უკანონო მიწოდების შემცირების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება;

2. ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის პრევენცია;

3. ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა;

4. პრობლემური მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირება.

იმ პირობებში, როდესაც მსოფლიოში იზრდება ნარკოტიკების უკანონო მოხმარების მასშტაბები, ფართოვდება მისი გავრცელების არეალი და, რაც ყველაზე სახიფათოა, ნარკობიზნესში ჩართული ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები აგრძელებენ საქმიანობას, თავის რიგებში იწვევენ და მაღალი ანაზღაურებით უზრუნველყოფენ ექსპერტებს: ფინანსების (ფულის გათეთრების), ბოტანიკის (მცენარეული სახის ნარკოტიკებში სელექციური სამუშაოებისათვის,) ქიმიის (ახალი ფსიქოტროპული ნივთიერებების შესაქმნელად და არსებულის დასახვეწად), ამ ორგანიზაციების შიდა და გარე უსაფრთხოების სისტემების უზრუნველსაყოფად, სამართლის დარგში სამართალდამცავი და იუსტიციის სისტემების მიერ დაგებული მახეებისათავის თავის არიდების მიზნით და სხვ, ამ პრობლემებთან მებრძოლი სამსახურები ახალი გამოწვევების წინაშე დგებიან.

ასევე აღსანიშანავია, რომ ნარკოდაშაულებრივი ორგანიზაციები მუდმივად ფრთხილობენ და ახორციელებენ სადაზვერვო ღონისძიებებს მათ ჯგუფებში საიდუმლო თანამშრომელთა ჩაბმის საწინააღმდეგოდ. რაც ყველაზე სახიფათოა, მუდმივად ცდილობენ კორუფციასთან დაკავშირებული ღონისძიებებით შეაღწიონ და გავლენები განიმტკოცონ სახელმწიფოების აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებში.

ამჟამად ჩამოყალიბდა სრულიად ახალი გარემო, რომელმაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ქართული სახელმწიფო და საზოგადოების წევრები. ქვეყნის განვითარების ამ ეტაპისათვის, სრულიად სხაგვარად გამოიყურება ქართული „ნარკოსცენაც“. სწრაფი ტემპებით გაიზარდა ინტრავენური ანუ ნარკომანიით დაავადებულ პირთა რიცხვი, რომელმაც 50 ათასს გადააჭარბა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ განხორციელებული კვლევებით, ამ კატეგორიის ნარკოტიკების მომხმარებელებით, ამჟამად საქართველო ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოა რუსეთის ფედერაციის შემდეგ[317]. სეიოზულად გაიზარდა კანაბისის მომხმარებელთა რიცხვიც, რომელიც ჩქარი ტემპებით ვრცელდება

317 UNODC, World Drug Report 2017, Vienna. (გამოქვეყნების თარიღი 26 ივნისი, 2017წ) .

უფროსკლასელებში, **„ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკის მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევამ“ (ESPAD)** აჩვენა, რომ სიცოცხლის განმავლობაში არალეგალური ნარკოტიკების, ინჰალანტების და ახალი ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარება ქართველ მოსწავლეებში უფრო მაღალია ვიდრე (ESPAD)-ს, ევრო პული სასკოლო კვლევის მაჩვენებელია[318]. დაფიქსირდა სინთეტიკური ნარკოტიკების (ფენტანილი) და მისი რიგის სხვა უაღრესად საშიში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების არა ერთი ტრაგიკული შემთხვევა.

ასეთ პირობებში უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი უნდა მივანიჭოთ, სამართალდამცავთა მიერ, პროაქტიურ ოპერატიულ-სამძებრო და ფარული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას. მათ უზრუნველყოფას ახალი ნოვატორული ტაქტიკებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რადგან თანამედროვე ეტაპზე ნარკოტიკების გამსაღებელთა ორგანიზებული და ნაშაულებრივი დაჯგუფების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მათი ფუნქცი ონირება ტერიტორიული (ეროვნული) ნიშნით, მყარი ურთიერთკავშირებით, რაც ამ ჯგუფებთან ოპერატიულ-სამძებრო ხაზით მუშაობისას დამატებით სიძნელეებს წარმოშობს.

ამ ჯგუფების დამახასიათებელი ნიშნებია:

- ორგანიზებულობის მაღალი დონე, რაც თავისთავად მოითხოვს ხემძღვანელი ბირთვის (ლიდერის) არსებობას, ჯგუფის შიგნით შემსრულებელთა ფუნქციების დანაწილებას;
- მკაცრი დისციპლინა, კონსპირაციის დაცვა, ჯგუფის შიგნით იერარქიული ურთიერთობის მკაცრად რეგლამენტირებული წესების განუხრელი შესრულება;
- სახელმწიფო ადმინისტრაციის, სამართალდამცავი ორგანოების კორუმპირე ბულ წარმომადგენლებთან კავშირის დამყარება ან მისწრაფება, მიღებული შემოსავლების „გასაკეთილშობილებლად“ (ლეგალიზაციისათვის), დანაშაულებრივი კავშირების დამყარება სახელმწიფო საწარმოებთან და კომერციულ სტრუქტურებთან;
- ჯგუფების ხელმძღვანელების მჭიდრო კავშირი კრიმინალურ გარემოსთან, რადგან ასეთი კონსოლიდაცია დამნაშავეთათვის ხელსაყრელია. დამნაშავეები უზრუნველყოფენ ჯგუფის საქმიანობის (დაცვას რეკეტისგან, კონკურენტებისგან, ანგარიშსწორება ჯგუფის იმ წევრებთან, რომლებმაც

[318] ალკოჰოლის, თამბაქოს და სხვა ნარკოტიკის მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა ESPAD. თბილისი 2018 წ.

გადაწყვიტეს დანაშაულებრივი საქმიანობის შეწყვეტა და ა.შ.), ხოლო ნარკობიზნესის საქმოსნები მათ გარკვეულ პროცენტებს ურიცხავენ უკანონო ოპერაციებით მიღებული შემოსავლიდან;

- ნარკოტიკების გასაღებით მიღებული სახსრების გარკვეული ნაწილი გამოიყენება სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის დეზორგანიზაციისათვის (მოსყიდვა, შანტაჟი, დეზინფორმაცია), სადაზვერვო ღონისძიებების განსახო რციელებლად, ასევე ჯგუფში საიდუმლო თანამშრომელთა ჩაბმის საწინააღმდეგოდ კონტრზომების მისაღებად;
- დანაშაულის დეტალური დაგეგმვა და მისი ჩადენისათვის მომზადება;
- დაჯგუფებაში დანაშაულებრივი გარემოსათვის საზოგადოების ინტელექტუალური ფენების წარმომადგენლების მეცნიერების, ინჟინრების, ექიმების, მასწავლების და სხვათა ჩაბმა.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და ნარკომანიის გავრცელების საწინააღმდეგგო ღონისძიებების წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანეის საფუძველი საერთაშორისო თანამშრომლობაა.

დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს მყარად ჩამოუყალიბდათ ერთი საერთო აზრი, რომელსაც წინამდებარე ნაშრომიც ადასტურებს: მსოფლიოს სამართალდამცავები ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტენ, თუ ნარკოტიკებით მდიდარ ქვეყნებში არ გააქტიურდა თანამიმდევრული დიპლომატიური ინიციატივები, ეკონომიკური ღონისძიებანი, თუ არ გამოიძებნა ერთგვარი მატერიალური სტიმულირება ნარკოტიკების მოშენებით დაკავებული გლეხებისათვის, თუ არ განხორციელდა ნარკოტიკების შემცველი მცენარეების სხვა კულტურებით ჩანაცვლების პროგრამები, თუ არ შემუშავდა პრობლემისადმი ახლებურად მიდგომის გზები, განსაკუთრებით, ქიმიურ ნივთიერებათა კონტროლის სფეროში, რომლისგანაც წარმოებული სინთეზური ნარკოტიკები 21-ე საუკუნის უდიდესი პრობლემაა.

სამართალდამცავთა მუშაობა არ შეიძლება წარიმართოს მხოლოდ ერთი ქვეყნის საზღვრებში. არსებობს გამოთქმა - ,,ნარკობიზნესს საზღვრები არა აქვს''. ამიტომ ნარკოკრიმინალური ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა საერთო ძალისხმევით მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ ქვეყნის წარმომადგენელმა, სადაც ეს ორგანიზაციები მოქმედებენ. ისეთი პოლიტიკა, როდესაც ერთი ქვეყანა ამ სფეროში

თავისი საქმიანობით შელახავს სხვა ქვეყნის ინტერესებს და ამით ზიანს მიაყენებს სტაბილურობას მსოფლოში, განწირულია! [319].

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალკოჰოლის, თამბაქოს და სხვა ნარკოტიკის მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა ESPAD. თბილისი 2018 წ.
2. ბეროზაშვილი ზ., ჯანაშია ჯ. „საქართველოში ავღანური ჰეროინის ბრუნვის სიტუაციური ანალიზი. საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი „თემიდა“. № 14, 2021 წ.
3. ჯანაშია ჯ. “xxi საუკუნის გამოწვევა“ გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი 2000წ.
4. ჯანაშია ჯ. „ნარკოდანაშაულის ფენომენი“, მონოგრაფია. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2020 წ.
5. European Drug Report 2023: Trends and Developments. წყარო: https://www.emcdda. Europa.
6. Focus on the European Neighbourhood Policy area: news from EU 4Monitoring Drugs, the EMCDDA's new technical cooperation project.
   Source: https://wdr.unodc.org/wdr2020/field/WDR20_BOOKLET_1.pdf
7. United Nations Office on Drugs and Crime (UNODC). From the 2023 report.
8. UNODC, World Drug Report 2017, Vienna. (გამოქვეყნების თარიღი 26 ივნისი, 2017წ) .

[319] ჯემალ ჯანაშია-”XXI საუკუნის გამოწვევა“ , გამომცემლობა „ინტელექტი“ თბილისი, 2002 წელი.